ნინო ღამბაშიძე
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

წმ. დავით გარეჯელთან დაკავშირებული დღესასწაულები

წმ. დავით გარეჯელის ხსენებასთან დაკავშირებული დღესასწაულების განხილვა, ვფიქრობთ, უმჯობესი მისი ადგილსამყოფელისა და მის ცხორებაში აღწერილი იმ მნიშვნელოვანი მოვლენების მიხედვით იქნება, რომლებმაც ასახვა ჰპოვეს კალენდარში.

პირველი ადგილსამყოფელი, სადაც წმ. დავითი მოღვაწეობდა, ჩვენთვის ცნობილი წყაროების მიხედვით, როგორც ვიცით, მთაწმინდაზე არსებული მცირე გამოქვაბული იყო[1]. ფიქრობენ, რომ X საუკუნეში აქ დაარსდა მონასტერი, რომელიც XIII-XIV საუკუნეებში განადგურებულა. 1542 წელს ნიკოლოზ და დავით გაბაშვილებმა ააგეს ღმრთისმშობლის მონასტერი. 1810 წელს ძველი ეკლესიის ნაშთზე აიგო ფერისცვალების სამლოცველო, ხოლო 1859-1871 წლებში წმ. დავითის ეკლესია[2]. X საუკუნეში მამადავითს მთაწმინდა ივირონის მონასტრის დაარსების შემდეგ, ათონის მთის საპატიოცემულოდ დარქმევია. აქ ათონიდან ჩამოსული ბერებიც ჩერდებოდნენ თურმე. საგულისხმოა, რომ ხსენებული მთის ტოპონიმში ორი, ქრონოლოგიურად დაცილებული მოვლენაა ასახული: წმ. დავით დარეჯელის მოსაგრეობა და ივირონოს მეტოქიონის არსებობა, რომელიც, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი სასულიერო კერა უნდა ყოფილიყო თბილისში.

როგორც ცნობილია, მამა დავითობა თბილისში (ასევე გარეჯშიც) ამაღლების სწორზე, ხუთშაბათს იმართებოდა, რაც წყაროს მიხედვით წმინდანის აღსრულების თარიღია. ჩვენთვის ცნობილი ძეგლები, რომლებშიც ამ დღეს წმინდანის ხსენებას უთითებენ, XVIII საუკუნით თარიღდება[3]. „ქართლის ცხოვრება“ პირდაპირ გვაძლევს ცნობებს, რომ ასურელი მამების მოღვაწეობის ამსახველი თხზულებები მათივე ცხოვრებაში შეიქმნა. ამის მიუხედავად, წმ. დავითის ცხოვრების ამსახველი ჩვენამდე მოღწეული რედაქციები განეკუთვნება: არა უადრეს IX(“ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისაჲ”)[4], არაუგვიანეს XII (მეტაფრასული რედაქცია “ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ წმიდსა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისაჲ”, დამკვეთი XIIს. მოღვაწე ონოფრე) და XVIII რომანოზ მიტროპოლიტის (“ცხორება წმიდისა ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისა მეუდაბნოესი”, ე.წ. სეინაქსარული რედაქცია “ცხორებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისა მოკლედ ნათქომი” და ვახტანგ VI-ის დროის ჩანართი „ქართლის ცხოვრებაში“) საუკუნეებს.[5] აქ არ ვეხებით სინას მთაზე აღმოჩენილ რედაქციას, რომელიც ჯერ არ არის გამოქვეყნებული.

---

[1] П. Иоселиани, Гора св. Давида, Тиф., 1859, გვ.4.

[2] პ. იოსელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ.3-4; მისივე, Древности города Тифлиси, Тиф., 1866, გვ.109; მ. ბულია, მ. ჯანჯალია, თბილისი, თბ. 2002, გვ.142.

[3] ე. ჭელიძე, მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის შეერთებული კალენდარი, თბ. 2001, გვ.302.

[4] მ. ჩხარტიშვილი, დავით გარეჯის ქვაბოვანი მონასტრის ისტორიის ჰაგიოგრაფიული წყაროები, ANALECTA IBERICA, I თბ. 2001 გვ.137–141.

[5] კ. კეკელიძე, ე. გაბიძაშვილი, თხზულებას XIს. აეტორს, არსენ კათოლიკოსს მიაკუთვნებენ (ე. გაბიძაშვილი, ასურელი მოღვაწეების “ცხოვრებათა“ ე.წ. არქეტიპების ურთიერთმიმართებისათვის, მაცნე, 1982,4, გვ.65).

თუ მთაწმინდაზე ტაძარ-სამლოცველოთა მშენებლობის ტრადიციას მივადევნებთ თვალს, ვფიქრობთ, შემდეგი სურათი იკვეთება: VI საუკუნიდან X საუკუნემდე, რასაც ზეპირი გადმოცემები თუ წერილობითი წყაროები უსვამენ ხაზს, ძლიერი უნდა ყოფილიყო წმ. დავით გარეჯელის თაყვანისცემა და კულტი; X საუკუნეში, როდესაც საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება, რაც ლიტურგიკულად, მსოფლმხედველობრივად ისახება რელიგიურ ცხოვრებაში, როდესაც ათონის მთა და ქართველთა სავანე-იერონი-ჩვენში მრავალი კუთხით იწყებს გააქტიურებას, რაც მამა დავითის ტოპონიმის გვერდით მთაწმინდის გაჩენაშიც აისახა. ხსენებულ მთაზე იგება ივერთა მონასტრის მეტოქეობა.[6] შესაძლოა ამ პერიოდიდან გარკვეული დროის განმავლობაში წმ. დავითის სახელმა უკანა პლანზე გადაინაცვლა და ტოპონიმი მთაწმინდაც უფრო ყოფითი გახდა. ამ მოსაზრებას ერთგვარად განამტკიცებს ისიც, რომ XII–XIV საუკუნეებში განადგურებული მონასტრის ადგილას, სადაც გადმოცემის მიხედვით იერონიდან ნამოსული ბერები ნერდებოდნენ, XVI საუკუნეში (1542წ.) აიგო ღმრთისმშობლის მონასტერი. სავარაუდოა, რომ XVII საუკუნეში კვლავ ხდება წმ. დავით გარეჯელისადმი სასოებისა და თაყვანისცემის გაძლიერება, რაც, ვფიქრობთ, ამ საუკუნეში მისი ცხოვრებისა და ღვაწლის ამსახველი თხზულებების შექმნით უნდა იყოს გამოხატული. მხოლოდ XVIII საუკუნეში იქმნება მისი ცხოვრების სამი რედაქცია და აქედან ერთ-ერთი სეინაქსარულია ანუ ლიტურგიკულ პრაქტიკაში გამოსაყენებელი.[7] როგორც ჩანს, დიდი წყვეტილის შემდეგ წმ. დავით გარეჯელის თაყვანისცემა იმდენად გაძლიერდა და წინ წამოიწია, რომ XVIII საუკუნეში. საქართველოს ეკლესიამ ამ წმინდა მამას თავისი ადგილი მიუჩინა ლიტურგიკულ პრაქტიკაში. ამ მიმართულებით ნიშანდობლივად გვეჩვენება XIX საუკუნის დასაწყისში ღმრთისმშობლის მონასტრის ადგილზე ფერისცვალების სახელობის სამლოცველოს აგება. ნიშანდობლივად მიგვაჩნია იმდენად, რამდენადაც გარეჯის უდაბნოს ლავრა ფერისცვალების სახელობის იყო. ამავე საუკუნის მეორე ნახევარში ფერისცვალების სამლოცველო წმ. დავითი გარეჯელის სახელობის ეკლესიით შეიცვალა. დღეს მთაწმინდასთან დაკავშირებით ათონურმა ტრადიციამ უკანა პლანზე გადაიწია და წინ კვლავ წმ. დავითის თაყვანისცემა წამოიწია, წმინდანისა, რომელიც ქ. თბილისის ერთ-ერთი მფარველია.

ვფიქრობთ, აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში (1769წ.) ანტონ I–ის მიერ იქმნება ორიგინალური ჰაგიოგრაფიული თხზულება აღდგომას წამებულ გარეჯელ მოწამეებზე. ეს თხზულება ემყარება ზეპირ გადმოცემას. ავტორი ვერ ასახელებს ვერცერთ წყაროს, გარდა ვარაუდისა, რომ გარეჯას აღდგომის ეკლესიის მახლობლად ბერად შემდგარმა კახთა მეფე ალექსანდრე II–მ (1574–1605წწ.) ააშენა სამარტვილე[8]. წყაროების მიხედვით, აღდგომას დახოცილ ბერთა მოხსენიება ბრწყინვალე შვიდეულის ოთხშაბათიდან პარასკევამდე ხდებოდა.[9] ბუნებრივია, მათი ლიტურგიკული მოხსენიება XVIII საუკუნიდან უნდა მომხდარიყო. დღეს საქართველოს ეკლესია ხსენებულ წმინდანებს ბრწყინვალე სამშაბათს, ივერიის ღმრთისმშობლის ხა-

---

[6] П. Иоселиани, Гора св. Давида, გვ. 4.

[7] ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1973, გვ.406.

[8] ე. გაბიძაშვილი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, თბ. 1980,გვ. 501,502. უღრმეს მადლობას მოვახსენებთ ბატონ ენრიკო გაბიძაშვილს გაწეული კონსულტაციებისათვის.

[9] კალენდარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 302.

ტის ხსენების დღეს იხსენიებს. თუ რატომ, ძნელი სათქმელია. ფაქტია, რომ გარეჯელი ბერებისა და ღმრთისმშობლის ხატის ხსენებისათვის ერთი და იგივე დღეა დადგენილი. ზემოთქმულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ XVIII საუკუნეში ხდება გარეჯელი მოღვაწეების ღვაწლის წინ წამოწევა.

როდესაც წყაროებში მითითებულია წმ. დავითის ხსენების დღე – იგი ამგვარადაა ფორმულირებული: "ამაღლებისა მსგებსსა ხუთშაბათსა" და "აღესებითგან მეშვიდე ხუთშაბათსა"[10]., რაც ერთი და იგივე დღეა. როგორც ცნობილია, იოანე-ზოსიმეს კალენდარს ძირითადად საფუძვლად "იერუსალიმის განჩინება" დაედო,[11] რომელსაც V–X საუკუნეების საქართველოს ეკლესიის ლიტურგიკული პრაქტიკა ეფუძნებოდა. სწორედ ამ კალენდარში ვკითხულობთ:" მეხუთესა ხუთშაბათსა სატფური ბეთლემისი: ღმრთისმშობლისაჲ:" ე.ი. წმ. დავითი ღმრთისმშობლის ხსენების ერთ-ერთ დღეს აღესრულა იმ კალენდრის მიხედვით, რომელიც საქართველოს სულიერი ცხოვრების საფუძველი იყო. ღვთის განგებით ეს დღე ბეთლემის ანუ იმ ეკლესიის განახლების დღეა, რომელშიც, როგორც ცნობილია ის გამოქვაბულია მოქცეული, სადაც იშვა ქრისტე.[12] წმინდანი, რომელიც მიწიერი ცხოვრების განმავლობაში კლდეში ნაკვეთ ქვაბულებში მოსაგრეობდა, ამ ქვეყნიდან გასვლის ჟამსაც ქვაბულს დაუკავშირდა. მამა დვითის კლდეში ნაკვეთი სენაკის მიდამოებში დაახლოებით ოთხი საუკუნის შემდეგ და ვიდრე 1810 წლამდე ღმრთისმშობლის სახელობის მონასტრები იმყოფებოდა. ამგვარად ის, რომ წმ. დავითის გარდაცვალების დღე გარკვეულწილად ღმრთისმშობელს უკავშირდება, ეს ფაქტია. მაგრამ, ხუთშაბათი დღეც მნიშვნელოვანია წმ. დავითის ცხოვრებაში(მისი გარდაცვალების და თბილისში ქადაგების დღე). ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში იგი ხსნის იდეის გამომხატველ, უფლის ამაღლების დღეს კი არ უნდა უკავშირდებოდეს, არამედ ღმრთისმშობლისას. იოანე-ზოსიმეს კალენდრის მიხედვით ხუთშაბათი ღმრთისმშობლის დღესასწაულის დღედ იყო დადგენილი.[13] პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე) თელის, რომ იქ, სადაც მამა დავითი ხუთშაბათობით ქადაგებდა, იყო ტაძარი (იშველიებს გადმოცემას, რომლის მიხედვით წმინდანი მონასტერში ჩამოდიოდა), სადაც თავისთავად დადიოდა მლოცველი და რომლის მახლობლად ცხოვრობდნენ მესენაკე დედები,[14] რომელთაგან ერთ-ერთი შესაძლოა ყოფილიყო შეცდენილი მონაზონი. მესენაკე დედებისა და მონასტრის ტაძართან არსებობას უკავშირებს პატრიარქი იმასაც, რომ ქაშვეთობა მთელ საქართველოში, სადაც ქაშვეთის სახელობის ტაძარია აგებული, მენელსაცხებლე დედათა კვირიაკეში აღინიშნება. ამასთანავე, მამა დავითის დროინდელი ტაძარი წმ. გიორგის სახელზე იყო აგებული.[15] პირველი შეკითხვა რომელიც ხსენებულ მოსაზრებასთან დაკავშირებით ჩნდება არის ის, თუ რატომ უნდა აღენიშნათ წმინდანის დღესასწაული, რომელიც სატაძრო დღესასწაულიც იყო, არა მისთვის მიჩენილ დღეს? ამავე დროს, არსებობს ცნობა, რომლის მიხედვით ქაშვეთობა თბილისსა და დიმში 23 აპრილს (6 მაისს) გიორგობას იმართებოდა, ჯიხაიშში თომას შვიდეულში და თომას კვირის სწორზე ანუ მენელსაცხებლე დედათა ხსენების დღეს. თუ კვლავ მივმართავთ იოანე-ზოსიმეს კალენდარს,

---

[10] კალენდარი, იქვე.
[11] კ. კეკელიძე, იოანე ქართველის კალენდარი (Xს.), ეტიუდები 5, 1957, გვ.244.
[12] იქვე, გვ. 280.
[13] იქვე.
[14] კალისტრატე ცინცაძე, დასახ. ნაშრომი, გვ.11-12.
[15] კალისტრატე ცინცაძე, დასახ. ნაშრომი, გვ 17-18; თბილისი, დასახ. ნაშ., გვ. 138.

ეფიქრობთ, ეოველიეე თავის ადგილზე დადგება. მის მიხედვით, აღდგომის მესამე კვირას, როდესაც დღეანდელი ეკლესია მენელსაცხებლე დედებს მოიხსენიებს, მცხეთის ჯვრის დღესასწაული იყო. ქაშვეთის ეკლესიის ადგილზე VI საუკუნეში უკვე იყო ტაძარი. მის ადგილზე 1753 წელს გივი ამილახვარმა ჯვრის სახის ეკლესია ააგო, რომელიც წირვა-ლოცვისთვის ამავე წლის აპრილში, შესაძლოა 23-ში გაიხსნაო – წერს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე[16] და, ეფიქრობთ, იგი არ ცდება. მას შემდეგ, რაც გივი ამილახვარის ტაძარი წმ. გიორგის სახელზე აკურთხეს, ქაშვეთობა გიორგობას, 23 აპრილსაც უნდა აღენიშნათ, როგორც ზემოთ იყო ნახსენები. პირველი, VI საუკუნის ტაძარი კი მცხეთის ჯვრის სახელობაზე უნდა ყოფილიყო აგებული. მოგვიანებით, დღესასწაულს შერჩა ძველი თარიღი, რომელიც სხვა მიზეზს დაუკავშირდა. ლიტურგიკული თარიღი, რომ სარწმუნო საბუთია ეფიქრობთ, შარლ რენუს შემდეგი სიტყვებიც მეტყველებს: "ლიტურგიკული ფორმები და წესები ბუნებით კონსერვატორული არიან და განსაკუთრებით ეწინააღმდეგებიან ცვლილებებს".[16] საინტერესოა ისიც, რომ თბილისში ქაშვეთობა აღდგომის მესამე კვირას ქაშვეთის გარდა მოღნინის ღმრთისმშობლის სომხურ ეკლესიაში აღინიშნებოდა, რომელიც ამილახვრის ტაძრის თითქმის თანადროულია. მოღნინის ჩახაზული ჯვრის ეკლესია 1751 წელს არის აგებული.[17] არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ მცხეთის ჯვრის სახელობის ტაძართან გათამაშებული ტრაგედია ბავშვის დაბადებასთან არის დაკავშირებული. საყოველთაოდაა ცნობილი ის ფაქტი, რომ თავად მცხეთის ჯვარი შვილიერების მიმნიჭებელი ცნობილი სალოცავია.

ქაშვეთის გადმოცემაში ნათლად იკვეთება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ეს არის ქრისტიანობისა და მაზდეანობის დაპირისპირება, რაც, ალბათ, ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს.

ქაშვეთის ამბის შემდგომ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გადასული მამა დავითი ჯოჯოს მთაში გამოკვეთილ ქვაბულში მკვიდრდება. შესაძლოა ეს ის ქვაბული იყოს, სადაც ჯოჯოობის დღესასწაულის აღსანიშნავად აღდგომის შემდგომ სამშაბათს მიდიოდნენ თბილისელი ქალები. ამ დღეს თბილისელი ქალები, ძირითადად ახალგაზრდები, მიდიოდნენ ავლაბარში და თან მიჰქონდათ შაქრის ნატეხები. დღეობა ე.წ. "ძაღლის უბანში", მტკვრის პირას, კლდოვან ადგილზე იმართებოდა. ქალები ილოცებდნენ, რის შემდეგაც ჯოჯოებისთვის განკუთვნილ შაქრის ნატეხებს მიმოაბნევდნენ. გადმოცემის მიხედვით, აქ საკვირველმოქმედი მამა ცხოვრობდა, რომელიც ერთი ხელის შეხებით აქრობდა სახიდან ჭორფლებს.[18] XIX საუკუნის პერიოდულ პრესაში გამოთქმული მოსაზრება თითქოს ხსენებული გამოქვაბული დოდო გარეჯელის მოღვაწეობის ადგილი უნდა ყოფილიყო, რის გამოც დღესასწაულს თავდაპირველად დოდოობა უნდა რქმეოდა, შემდეგ კი ჯოჯოობა, მრავალ შეკითხვას ბადებს. დღეობას ხალხი ან დოდოობას ეძახდა ან ჯოჯოობას, მაგრამ იმის გადაჭრით მტკიცება, რომ ხსენებული დღე დოდო გარეჯელს უკავშირდება, მტკიცე არგუმენტაციას საჭიროებს, რაც დღეისათვის ჩვენს ხელთ არ არსებობს. იმოწმებს რა პ. იოსელიანს, მ. საბინინი აღნიშნავს, რომ გადმოცემის თანახმად წმ. დოდო

---

[16] შარლ რენუ, ორიგენი და იერუსალიმის ქართული ლექციონარი, სვეტიცხოველობისადმი მიძღვნილი პირველი სამეცნიერო კონფერენცია 11-13 ოქტომბერი, 1995, გვ.337.

[17] Григорий Герд, вь б -тнография Тифлисские ведомости, 20, გვ.1829; თბილისი., გვ. 130.

[18] Е.Вердеревский, Народные праздники, газ. Кавказ, 1855, 14, გვ. 15; სააღდგომო, გაზ. ივერია, 1894, 82, გვ. 3-4.

გარეჯელი უცხო ტომელი იყო და საქართველოში აღმოსავლეთიდან მოვიდა. სხვა ცნობას მის შესახებ ჩვენამდე არ მოულწეია, გარდა წმ. დავით გარეჯელის ცხორებისა, სადაც ხსენებული წმინდანი პირველად გარეჯის უდაბნოსთან დაკავშირებით ჩნდება.[19] სამაგიეროდ, იგივე ცხორება და გადმოცემა გვეუბნება, რომ წმ. დავითმა, მას მერე რაც მთაწმინდა მიატოვა, მცირე ხნით მტკვრის მოპირდაპირე მხარეს, ასევე გამოქვაბულში დაივანა, რაც ვფიქრობთ მას ჯოჯოს გამოქვაბულის საკვირველმოქმედ მამასთან აკავშირებს.[20] თუმცა ის ფაქტი, რომ წმ. დოდო უკვე ბერია, ე.ი. ის სადღაც უკვე მოსაგრეობდა, აღნიშვნის ღირსია. ჩვენს მიერ მოხმობილი, არც თუ ისე ნათელი საკითხის გარკვევაში, ჩვენი აზრით დღეობის თარიღი უნდა დაგვეხმაროს. ჯოჯოობა, როგორც ითქვა, აღდგომის მომდევნო სამშაბათს, ივერიის ღმრთისმშობლის ხსენების დღეს აღინიშნებოდა და ქალების დღესასწაული იყო. ვფიქრობთ, ეს ფაქტი შეიძლება გამოდგეს იმის ერთ-ერთ მტკიცებულებად, რომ ჯოჯოობა წმ. დავით გარეჯელს უკავშირდება. ის, რომ ჯოჯოობის დღესასწაული ნამდვილად ქალთა დღესასწაული იყო, ამასაც იოანე-ზოსიმეს კალენდარი სცემს პასუხს. აღდგომის შემდგომ სამშაბათს "ჴსენებაჲ წმიდათა დედათაჲ მარიამ ღმრთისმშობელისაჲ: და მარიამ მაგდანელისაჲ და მარიამ იაკობისი: და სალომჱსი: და იოჰ[ანაჲსი] და ლაზარჱს დათაჲ. და მათთანა სხუათაცა წმიდათა დედათაჲ:"[21] ფაქტიურად ეს ღმრთისმშობლისა და მენელსაცხებლე დედათა ხსენების დღე იყო. დღეს აღდგომის მეორე სამშაბათი კვლავ ღმრთისმშობელს, კერძოდ, ივერიის ღმრთისმშობლის ხატს უკავშირდება და ასევე გარეჯაში აღდგომას მოწყვეტილ ბერებსაც. ამრიგად, წმ. დავით გარეჯელი თავისი აღსრულების დღით (ხუთშაბათი და ღმრთისმშობლის ერთ-ერთი ხსენება), ქაშუეთში ქადაგების დღით(ხუთშაბათი) ჯოჯოობის დღესასწაულის თარიღით (ღმრთისმშობლისა და მენელსაცხებლე დედათა ხსენება), მამა დავითზე მისი სენაკის ტერიტორიაზე X და XVII საუკუნეთა ღმრთისმშობლის სახელობის მონასტრების არსებობით, XIX საუკუნეში ჯერ ფერისცვალების სამლოცველოთი, ხოლო შემდეგ წმ. დავითის ტაძრით, ქალების მფარველობით, შვილიერების, ოჯახური ბედნიერების მიმნიჭებლობით, რაც მამა დავითის ხალხურ დღესასწაულში ნათლად აისახა, მჭიდროდ უკავშირდება ღმრთისმშობელს, რაც ერთი მხრივ წმ. დავითისა და ივირონთან დაკავშირებული ტრადიციების დაახლოების პერიოდთან, ხოლო, მეორე მხრივ, იერუსალიმურ კალენდართან უნდა ავლენდეს კავშირს (ბეთლემის სატფურება, ღმრთისმშობლობა).

ასეთი ჩანს წმ. დავით გარეჯელისა და მასთან დაკავშირებული მოვლენების ხსენება-დღესასწაულთა სურათი. სავარაუდებელია, რომ მასში საქართველოს ეკლესიის ლიტურგიკული პრაქტიკა და მისი ცვლილებებიც იყოს ასახული, რაც საგანგებო კვლევამ და მსჯელობამ უნდა გამოარკვიოს.

---

[19] მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882, გვ.292,276.

[20] იქვე, გვ.269.

[21] იოანე-ზოსიმე, დასახ. ნაშ., გვ. 279.

Nino Gambashidze

Feast Connected with St. David Garejeli

Regarding commemoration of St. David Garejeli noteworthy is the history of his abode in Tbilisi, Mamadaviti (St. Father David), i.e. Mtatsminda (Holy Mount). As evidenced by the literary sources and oral tradition, St. Father, on his arrival from Syria and before leaving for Gareja, stayed here in a little cave. In the 10th c. a monastery was founded on this place, which was called Mtatsminda in honour of Iviron on Mount Athos (monks of the Athonite Georgian monastery stayed there when in Tbilisi, thus, it was a metochion of the famous Georgian monastery). Respectively, two names of the mountain (Mamadaviti and Mtatsminda) reflect two events of its history. In 1543, Nikoloz and Davit Gabashvili built a monastery of the Virgin on the place of the old monastery destroyed in the 14th c. In 1810, a chapel of the Transfiguration was built on its ruins and in 1859-1871 – the church of St. David. As evidenced by the literary sources, "Mamadavitoba" (feast of Mamadaviti) is celebrated on Thursday after Ascension. It is noteworthy that, if in the 6th-10th cc., veneration of St. David was quite strong, in the 10th c., when the so to say Athonite stage in the history of the Georgian Church began, St. David's name seemed to be drawn to the background and "Mtatsminda" came forth. It is noteworthy that in the 16th c. again the monastery of the Virgin was built here. From the 17th c., St. David Garejeli was given more attention – new version of the "Vita" was made, his commemoration was established in the liturgical practice and it is characteristic that in the 19th c. the church of the Transfiguration was built here – main church of Gareja monastery is also dedicated to the Transfiguration – and later it was replaced by the church of St. David. However, this was not limited to St. David only – in the 18th c., Anton I wrote a special homily dedicated to the monk slaughtered at the Easter night in Gareja and established their commemoration.

In regards to commemoration of St. David, one more thing should be noted: according to Ioane-Zosime's calendar, this is the day of the Virgin of Bethlehem and, respectively, Bethlehem cave is echoed by the cave of St. David and, in this respect, erection of the church of the Virgin here in the 10th c. seems to be understandable. Besides, St. David preached on Thursdays and his death day was Thursday and this is also the day of the Virgin. At the same time, Kvashvetoba (feast of the Kvashveti church), i.e. the feast of the church, where St. David preached, is celebrated in the week of Myrophores, which is strange, since the church is dedicated to St. George. According to Ioane-Zosime's calendar, this is the day of the Holy Cross in Mtskheta and it seems most likely that the first, 6th c. church, built on this place, was dedicated to it. Ioane-Zosime's calendar provides answer to one more question – leaving Tbilisi, St. David stayed on the "Mount Jojo" (on the left bank of the river Mtkvari), in a cave, where later "Jojooba" feast was celebrated on Tuesday after Easter – women came. It is considered that, actually, this is "Dodooba" (feast of Dodo) and St. Dodo (disciple of St. David Garejeli) used to reside here. But according to Ioane-Zosime's calendar, this is the commemorative day of the Virgin and the Myrophores, which again points to St. David and his intrinsic ties with the Virgin.